



ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 106-ა

ქ. თბილისი

27 ივლისი 2017 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესის, სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესის, სსსმ და შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ლალი ხვედელიძის მიერ 2017 წლის 27 ივლისის სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა დასამტკიცებლად დანართების სახით სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესი; სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი; სსსმ და შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედგენის წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესი N1 დანართის თანახმად.
2. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდის განსაზღვრის წესი N2 დანართის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ სსსმ და შშმ პირების სწავლებისთვის განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა-ანგარიშის შედგენის წესი N3 დანართის თანახმად.

4. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვრივიშვილმა.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

როინ ტაკიძე

კოლეჯის დირექტორი

